

# ეკონომიკური ჩაბვრის გენდერული ჩრდილები: მემკვიდრეობის გადანაწილების ძალაუფლებრივი ასპექტები

მაია ჩიტაია

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს მშობლების მიერ ქალების მემკვიდრეობის სქემიდან გამოთიშვის წინაპირობები და შედეგები. მიუხედავად არსებული სამართლებრივი მექანიზმებისა, სოციალური პრაქტიკები ადასტურებენ, რომ ხშირ შემთხვევებში ქალებს მშობლების სამკვიდრო წილი არ ერგებათ. სამკვიდრო წილის არათანაბარ გადანაწილებას გენდერული ჩაგვრის განზომილება აქვს, ამიტომ კვლევა შეისწავლის ძალაუფლებრივი ურთიერთობის ფორმებსა და შედეგებს, რის საფუძველზეც ხდება გენდერული როლებისა და მოლოდინების შექმნა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. კვლევა ასევე შეისწავლის მემკვიდრეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით ქალების წინააღმდეგობის სტრატეგიებსა და მათ შედეგებს. და ბოლოს, კვლევა განიხილავს რამდენად იცვლება თაობათაშორისი დისკურსი სამკვიდრო წილთან მიმართებაში და რა განაპირობებს ამ ცვლილებას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, მონაცემთა შეგროვების მეთოდად კი გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რასაც მოყვა მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის – თოვლის გუნდის პრინციპით იმ რესპონდენტების გამოვლენა, ვისაც მემკვიდრეობის უთანასწორო გადანაწილების გამოცდილება ჰქონია. ჩატარდა 15 ჩაღრმავებული, ემპათიური ინტერვიუ და 2 ფოკუს ჯგუფი. კვლევის ანალიზის მეთოდად გამოყენებულ იქნა დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომელიც ეყრდნობა მიშელ ფუკოს დისკურსის პოლიტიკის ანალიზის თეორიულ ჩარჩოს. კვლევის ანალიზის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ძალაუფლებრივი ურთიერთობების არსსა და მისი გამოვლენის ფორმებს, კერძოდ, სუბორდინაციას, დისციპლინირებასა და ექსპლუატაციას. ასევე ამ ფორმების შედეგებს.

კვლევის მონაცემების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მემკვიდრეობის არათანაბრად გადანაწილებას და შედეგად ქალების მშობლების მემკვიდრეობის სქემიდან გამოთიშვას თავისი წინაპირობები გააჩნია. გამოაშკარავდა ოჯახებში მემკვიდრეობის გადანაწილებასთან დაკავშირებული დისკურსები, რის საფუძველზეც ხდება განსხვავებული გენდერული როლებისა და მოლოდინების შექმნა. აღნიშნული დისკურსები ვლინდება კოლექტიურ ცოდნაში, ასევე ენობრივ კატეგორიებსა და ოჯახურ წეს-ჩვეულებებში, აღზრდის დისციპლინირების ფორმებში, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდების სხვადასხვა ღირებულებით კატეგორიებში მონიშვნას, მათ სუბორდინაციას და საკუთრების ფლობიდან მათ გამოთიშვას.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალები იშვიათად, მაგრამ მაინც აცხადებენ პრეტენზიას მშობლების მემკვიდრეობის მისაღებად. ქალების ამ მოთხოვნას უარყოფითად ხვდებიან მათი ოჯახები, რაც ხდება ქალების გარიყვის საფუძველი. ქალები განიცდიან უსამართლობის გრძნობას და შედეგად, პროტესტის ნიშნად, ისინი უარს ამბობენ იზრუნონ მშობლებზე, რაც +ქალებისთვის სამაგიეროს გადახდის ერთგვარი საშუალებაა და ამდენად, გამარჯვების სტრატეგია.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ მემკვიდრეობის არათანაბრად გადანაწილების დისკურსი თაობების ცვლილებასთან ერთად წარმავალია. ეს განპირობებულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ზრდით, ასევე ოჯახებში პატრიარქალური გენდერული როლების ცვლილებით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსის კრიტიკული ანალიზი; ძალაუფლებრივი ურთიერთობები; დიფერენცირებული აღზრდა; მემკვიდრეობის არათანასწორი გადანაწილება; პერფორმატიულობა; სიმბოლური კაპიტალი; ექსპლუატაცია; ინტერნალიზებული პატრიარქატი.

საქართველოში ქალებისა და კაცებისთვის მშობლების ქონება, სამართლებრივად და შესაბამისად, ფორმალურად, თანაბრად ხელმისაწვდომია, მაგრამ სოციალური პრაქტიკები, რომლებიც ოჯახებში ვითარდება, ქმნიან გენდერულად უთანასწორო სურათს. ეს პრაქტიკები იწარმოება ტრადიციის სახელით, რომელიც ქალებს არ მოიაზრებს მშობლების მემკვიდრეობის მიღების სრულუფლებიან აქტორებად, და სრულად ან ნაწილობრივ უზღუდავს მათ საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ უფლებას. კერძო საკუთრების ფლობა დაკავშირებულია სოციალურ სტატუსთან და კეთილდღეობასთან, ასევე ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებთან. მიწა და უძრავი ქონება წარმოქმნის ეკონომიკურ სარგებელს: შესაძლებელია მისი გაყიდვა, გაქირავება ან სხვა ეკონომიკურ აქტივებად გადაქცევა, მაგალითად, საჭირო საქმისთვის ფულადი კრედიტის აღება.

ქალები საქართველოში ეკონომიკურად არასტაბილურ ჯგუფს რომ წარმოადგენენ, ამას სხვადასხვა პარამეტრიც მოწმობს. ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი:

კაცებთან შედარებით დაბალია ქალების შრომის ბაზარში ჩართულობის მაჩვენებელი, რაც გულისხმობს, რომ ინდივიდი „არის დასაქმებული ან აქტიურად ეძებს სამუშაოს“ (საქსტატი 2020). 2020 წელს ქალებისთვის ეს მაჩვენებელი 39.5% იყო, მაშინ როცა კაცებისთვის – 62.0%-ია. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ქალების ეკონომიკური აქტიურობა 41.7%-ს შეადგენდა და ეს განსხვავება, სავარაუდოდ, განპირობებული იყო პანდემიის ვითარებით და ქალებით დომინირებული დასაქმების ადგილების დახურვით.

გარდა იმისა, რომ ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები, მათი ხელფასიც დაბალია საბაზრო ეკონომიკის ყველა სფეროში. კერძოდ, ბიზნეს სექტორში მომუშავე ქალთა და კაცთა შორის 2020 წელს ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 63%-ს შეადგენდა (საქსტატი 2020).

საქსტატის უახლესი მონაცემები (საქსტატი 2020) ასევე აჩვენებს, რომ რეგისტრირებული ახალი საწარმოების სტატისტიკური მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 29%-ია, მაშინ, როცა კაცების შემთხვევაში მაჩვენებელი 56%-ია (15% კი არაიდენტიფიცირებადია). ეს კი ასევე, შესაძლოა, კავშირში იყოს ქალებისთვის სანყისი კაპიტალის მოძიების სირთულეებთან, კერძო საკუთრების არ ქონის პირობებში.

ქალების მიერ კერძო საკუთრების ფლობის მაჩვენებელიც ასევე დაბალია. საკუთრების, ანუ იგივე საცხოვრისის დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში, მამაკაცები უფრო ხშირად ფლობენ საკუთრებას, ვიდრე ქალები და ეს განსხვავება თითქმის 13%-ია. საქსტატის მიხედვით, „გენდერული სხვაობა ყველაზე მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის შემთხვევაში, სადაც მამაკაცების რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების მაჩვენებელს“.

კერძო საკუთრებაზე წვდომა და მისი კონტროლი განსაზღვრავს როგორც შინამეურნეობების, ასევე მასში მყოფი ინდივიდების სოციალურ-კულტურულ და ემოციურ განვითარებასაც. უძრავი ქონების ფლობას გააჩნია პოტენციური შესაძლებლობა, გააძლიეროს ქალების სოციალური სტატუსი და გააუმჯობესოს მათი კეთილდღეობა. როგორც აღინიშნა, ქალებისთვის კერძო საკუთ-

რება არის სამენარმეო საქმიანობის დაწყებისთვის კაპიტალის მოძიების შესაძლებლობა, თუმცა კერძო საკუთრება ძალადობის პრევენციასაც უკავშირდება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2018 წელს ჩატარებულმა გენდერული ძალადობის ეროვნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ძალადობა გამოვლილი ქალებისთვის, მიუხედავად ძალადობის მრავალჯერადი ეპიზოდებისა, მოძალადე ინტიმურ პარტნიორთან თანაცხოვრების გაგრძელების ერთ-ერთი განმამპირობებელი ფაქტორი იყო ალტერნატიული საცხოვრისის არარსებობა ხშირად, ოჯახში ძალადობის ინციდენტების დროსაც, ქალები ვერ ბრუნდებიან მშობლების სახლში. კერძო საკუთრების არქონა, ასევე ხშირად ხდება ქალებისთვის ეკონომიკური ძალადობის მიზეზიც. „საშუალოდ ყოველ მეხუთე ქალს განუცდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის ერთი ან მეტი ფორმა, მათ შორის პარტნიორს წაურთმევია საკუთარი შემოსავალი, აუკრძალავს მუშაობა ან გაუგდია სახლიდან (გაეროს განვითარების პროგრამა 2019). ქალებისთვის კერძო საკუთრების ფლობა მათი სიმბოლური სტატუსის ამალღებასაც უწყობს ხელს. ამ მხრივ საგულისხმოა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის ერთ-ერთი მიგნებით, ქალების საკუთრებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე ხელს უწყობს ოჯახის იერარქიულ სტრუქტურაში მათი პოზიციების გამყარებას, ანიჭებს ქალებს დაცულობის განცდას და თვითდაჯერებულობას მათებს მათ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ქალებსა და კაცებს მემკვიდრეობაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა აქვს, ქალები აწყდებიან სტრუქტურულ ბარიერებს, რაც განაპირობებს გენდერზე დაფუძნებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს საკუთრებასთან წვდომის თვალსაზრისით. ასეთ ბარიერებს პატრიარქალური კულტურული ნორმები ქმნიან, რაც, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კანონმდებლობის ქმედითუნარიანობასა და მის „თანაბრობას“, რომელიც არ ითვალისწინებს ამ განწყობებს და პროაქტიულად არ წახალისებს თანასწორობას „თანაბრობის“ ნაცვლად. ასეთ გარემოში თანაბრობა მხოლოდ პრივილეგიურებს აძლიერებს.

პატრიარქალური ნორმების მიხედვით მშობლების მემკვიდრეობა ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ კაც მემკვიდრეებზე ნაწილდება. ქალები კი მოიაზრებიან, დაოჯახების შემდეგ, ქმრის ქონების განმკარგავებად, რაც როგორც ზევით ვნახეთ, არ სრულდება და ქალები ქმრის ოჯახშიც განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას და ხშირად მუქარის სახით, მათი „სახლიდან გაგდება“ სახელდება. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, რაც მშობლების ქონების გადანაწილების გენდერულად ასიმეტრიულ პრაქტიკებს ციფრებით აჩვენებს, რადგან ასეთი ტიპის კვლევა საქართველოში არ იწარმოება. თუმცა, ამ პრაქტიკის განზოგადებისთვის საგულისხმოა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის განწყობების კვლევა, რომლის მიხედვით, მოსახლეობის 35% თვლის, რომ ვაჟმა მემკვიდრეობა მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილი უნდა მიიღოს.

როგორც აღვნიშნე, ქონების გადანაწილებას და მის ფლობას, და ამ ქრილში ასიმეტრიას, გენდერული განზომილება აქვს. გენდერული ურთიერთობები ძალაუფლებრივ და იერარქიულ ურთიერთობებზე დგას, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს სხვადასხვა როლებსა და პასუხისმგებლობებს ქალებისა და კაცებისთვის ყველა კონტექსტში. ეს განსაზღვრული გენდერული როლები და პასუხისმგებლობები წარმოქმნიან ღირებულებით სტრუქტურებს, რომლებიც ამყარებენ უთანასწორო ძალაუფლებრივ ურთიერთობებს კაცებსა და ქალებს შორის, მას აქვს განგრძობა-

დი ფორმა და ხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და კვლავწარმოება სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურებსა და ინსტიტუციებში, როგორცაა ოჯახი. ოჯახი სოციალური-კულტურული ღირებულებებისა და პრაქტიკების განმტკიცების არეალია, ამდენად მნიშვნელოვანია მისი როლის შესწავლა გენდერული ასიმეტრიის ქრილში, რომლის შედეგად დაქვემდებარებული ინდივიდები, სისტემატურად მოკლებულები არიან ისეთ ბაზისურ უფლებებს, როგორცაა სამკვიდრო წილის ფლობა და შემდგომი ეკონომიკური და პიროვნული გაძლიერება.

წინამდებარე კვლევის მიზანია, მშობლების მიერ ქალების მემკვიდრეობის სქემიდან გამოთიშვის წინაპირობებისა და შედეგების შესწავლა. როგორც აღინიშნა, სამკვიდრო წილის არათანაბარ გადანაწილებას გენდერული ჩაგვრის განზომილება აქვს, ამიტომ კვლევა შეისწავლის ძალაუფლებრივი ურთიერთობის ფორმებსა და შედეგებს, რის საფუძველზეც ხდება გენდერული როლებისა და მოლოდინების შექმნა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. კვლევა ასევე შეისწავლის მემკვიდრეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით ქალების წინააღმდეგობის სტრატეგიებსა და მათ შედეგებს. და ბოლოს, კვლევა განიხილავს, რამდენად იცვლება თაობათაშორისი დისკურსი სამკვიდრო წილთან მიმართებაში და რა განაპირობებს ამ ცვლილებას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, მონაცემთა შეგროვების მეთოდად კი, გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რასაც მოყვა მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის – თოვლის გუნდის პრინციპით იმ რესპონდენტების გამოვლენა, რომლებსაც მემკვიდრეობის უთანასწორო გადანაწილების გამოცდილება ჰქონიათ. ჩატარდა 15 ჩაღრმავებული, ემპათიური ინტერვიუ და 2 ფოკუს ჯგუფი. კვლევის ანალიზის მეთოდად გამოყენებულ იქნა დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომელიც ეყრდნობა მიშელ ფუკოს დისკურსის პოლიტიკის ანალიზის თეორიულ ჩარჩოს (Foucault 1968). კვლევის ანალიზის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ძალაუფლებრივი ურთიერთობების არსსა და მისი გამოვლენის ფორმებს, კერძოდ, სუბორდინაციას, დისციპლინირებასა და ექსპლუატაციას, ასევე, ამ ფორმების შედეგებს. კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ძალაუფლების არსს, ასევე ააშკარავებს ძალაუფლებრივი ურთიერთობის მექანიზმებს სუბორდინაციის, დისციპლინირებისა და ექსპლუატაციის სახით და მათ გამოხატულებებს (Foucault 2020, Goffman 1956 და Young 2011). ამავე ქვეთავში საუბარია ძალაუფლებრივი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციის ფორმებზე, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახის ინსტიტუტს. აქვე მიმოვიხილავ ძალაუფლებრივი ურთიერთობის შედეგების შესახებ არსებულ თეორიებსა და ცნებებს, რაც განსაზღვრავს ქალის იდენტობას (Bourdieu 1991). ასევე საუბარია სუბორდინირებული წევრების წინააღმდეგობის და გამარჯვების სტრატეგიებზე, როგორც გამოსავალზე ძალაუფლებრივი ურთიერთობის სქემიდან.

ბოლო პერიოდში, მშობლების მემკვიდრეობის არათანაბარი გადანაწილების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა, რომელთა მიზანი იყო სამართლებრივ ნორმებთან სოციალური პრაქტიკების შეუსაბამობისა და შინამეურნეობებში მემკვიდრეობის გადანაწილების გენდერული ასპექტების გამოვლენა. ჩემი კვლევა დამატებით ღირებულებას შესძენს ამ ქრილში ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებს, რადგან მისი მიზანია ქალების მემკვიდრეობიდან გამოთიშვის წინაპირობების შესწავლა, ოჯახის სტრუქტურაში ძალაუფლებრივი ურთიერთობების წარმოშობა/კვლავწარმოების პრაქტიკებზე დაკვირვებითა და ოჯახის წევრების დროში განვრცობილ გამოცდილებაზე ფოკუსით, დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით.



კვლევის მიგნებები სასარგებლო იქნება, როგორც გენდერის კვლევისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, ასევე აქტივისტებისთვის, რომლებიც არაფორმალური განათლების საქმიანობაში არიან ჩართულნი. და ბოლოს, ინტერვიუების პროცესში, ქალები აღნიშნავენ, რომ მათთვის ამ თემაზე საუბარი ერთგვარი შვება იყო, რადგან სოციალური წნეხისა და მწირი მხარდაჭერის გამო, მემკვიდრეობის არათანასწორი გადანაწილებით გამონვეულ უსამართლობაზე საუბარს ვერავისთან ახერხებენ. ინტერვიუს პროცესი ამ ქალებისთვის თვითგამორკვევისა და ნორმად ქცეულის გამონვევად სახელდების შესაძლებლობა იყო, რაც მათი გაძლიერების პროცესად შეიძლება მოვიხარო. ეს მიგნებაც საგულისხმო იქნება ქალების გაძლიერების სფეროში ჩართული აქტივისტებისა და პროფესიონალებისთვის.

მემკვიდრეობის არათანაბრად გადანაწილებას და შედეგად, მშობლების მიერ ქალიშვილების მემკვიდრეობის სქემიდან გამოთიშვას თავისი წინაპირობები გააჩნია. კვლევისას გამოვლინდა ოჯახებში მემკვიდრეობის გადანაწილებასთან დაკავშირებული დისკურსები, რომელთა საფუძველზეც ხდება განსხვავებული გენდერული როლებისა და მოლოდინების შექმნა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დისკურსები ვლინდება საზოგადოებრივ აზრში, მშობლების მიერ მონათხრობ ისტორიებსა და გამოცდილებებში, ოჯახის წევრების მიერ გამოყენებულ ენაში/დისკურსში და წეს-ჩვეულებებში, როგორც რიტუალურ პრაქტიკებში, ასევე აღზრდის დისციპლინირების ფორმებში, რომლებიც ხელს უწყობენ ქალებისთვის პატრიარქალური ღირებულებითი კატეგორიების საშუალებით „ადგილის მიჩენას“, მათ მიერ ამ ღირებულებების გაშინაგანებას და შედეგად, მათ დაქვემდებარებას.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის მიხედვით, უნდა გამომევილინა ის დომინანტური დისკურსები, რომლებიც ქალს პირდაპირ ან ირიბად გამოთიშავს მშობლების მემკვიდრეობის გადანაწილების სქემიდან, ასევე საჭირო იყო დავკვირვებოდი, თუ ვინ არიან სუბორდინაციის სქემაში ძალაუფლების აქტორები და როგორ ყალიბდება ოჯახის წევრების ღირებულ და არაღირებულ ინდივიდებად მონიშვნა, რაც ქმნის განსხვავებულ მოლოდინებს სამკვიდრო წილთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეების მშობლებთან თანაცხოვრების პერიოდის მეხსიერების რეკონსტრუქციაზე დაყრდნობით, გამოვლინდა დისკურსები, რომელიც ოჯახის წევრებს მათ შორის დიფერენცირებულ მდგომარეობებზე ხაზგასმით უყალიბებდა მემკვიდრეობის კუთვნილებაზე ცოდნას.

მემკვიდრეობის სახელდებლასთან დაკავშირებით მეხსიერების რეკონსტრუქციისას კვლევის მონაწილეები იყენებდნენ ისეთ ენობრივ კონსტრუქტებს, როგორიცაა „დადგენილი წესი“, „ასე ითვლებოდა“, „ასე ხდებოდა გარშემო“, რაც მიმანიშნებდა, რომ ამ ტიპის ცოდნა მათ კოლექტიურად, დომინანტური კულტურის დისკურსის გავლენით გაუჩნდათ.

საგულისხმოა ასევე, რომ მონაწილეები იხსენებენ იმ ენობრივ კატეგორიებს, რაც მათ უყალიბებდათ ცოდნას, რომ მშობლების მემკვიდრეობიდან წილი არ ეკუთვნოდათ. ასეთი ენობრივი კატეგორიები, ოჯახის წევრების მიერ გარკვეული საოჯახო რიტუალების დროს, მაგალითად, საოჯახო სუფრებზე, ასევე ყოველდღიურ პრაქტიკებში გამოიყენებოდა. ასეთი პრაქტიკები იყო, მაგალითად, სადღეგრძელოებში, ბიჭის, როგორც „მემკვიდრედ“ სახელდება და გოგოების მონიშვნა, როგორც „წამსვლელებად“.

ინტერვიუების დროს მონაწილეები ასევე ხშირად იხსენებდნენ, რომ ქონების გადანაწილების ტრადიციებზე უმეტესად თანატოლი გოგოებისგან ისმენდნენ და იშვიათად, მაგრამ ბავშვობაში ძმებისგანაც ჰქონდათ გაგონილი, რომ სახლი და მასში არსებული ნივთები მათ ეკუთვნოდათ.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ხშირად, ქონების არათანასწორი გადანაწილების პრაქტიკები მშობლების, კერძოდ დედის გამოცდილების დისკურსით იყო ნაკარნახევი. კვლევის მონაწილეები ხშირად აკეთებდნენ რეფერირებას დედის მემკვიდრეობიდან გამოთიშვის ოჯახურ ისტორიებზე, რაც განსაზღვრავდა შვილების ე.წ. ბედისწერასაც. დედის ამგვარი გამოცდილების გაზიარებით ხდებოდა ადრეულ ასაკში ნორმად სახელდება, რომ გოგოებს ზრდასრულ ასაკში ასევე არ ერგებოდათ წილი მშობლების ქონებიდან. თუმცა, დედის გამოცდილება, თავად დედის პროტესტისა და ამ დისკურსის ცვლილების საფუძველი იშვიათად ყოფილა. პირიქით, მონაწილეები იმასაც ამბობენ, რომ დედის გამოცდილება, მშობლებისთვის ქონების გენდერული გადანაწილების ნორმატიულ შეხედულებას ამტკიცებდა და ხშირად, დედა ხდებოდა ამ შეხედულების გამტარი და როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ძალაუფლების აქტორიც.

„დედაჩემსაც არაფერი არ მიუღია თავისი ძმისგან. არც გაუვლია აზრად, რომ თავისი მხრიდან შეეძლო რამე მოეთხოვა. ამიტომ თვლიდა, რომ რაც არასდროს ქონია მას, მე რატომ უნდა მოვითხოვო. მახსოვს, ჩემმა კლასელებმა მოითხოვეს ქონება და ეგრევე ბლოკავდნენ დედები ამ არგუმენტით“ – იხსენებს კვლევის მონაწილე. თავად დედის აზრს კი, რესპონდენტის თანახმად, დიდწილად განაპირობებდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც განსაზღვრავს მისაღებ და მიუღებელ ქცევის წესებს და ამგვარად, ერთგვარი მადისციპლინირებელი მექანიზმის როლს ასრულებს.

ქონების გადანაწილების საკითხში დედის ძალაუფლების აქტორად ჩამოყალიბებას, გარკვეულწილად დედის უსამართლო გამოცდილებაც განაპირობებდა. შედეგად, დედის რეპრეზენტაცია არალირებულ ინდივიდად მოაზრებაში მდგომარეობს, რასაც დაოჯახებისას ემატება სანათესავოს წნეხი ვაჟიშვილის გაჩენის აუცილებლობაზე. ეს კი ამყარებს დედის პირველადი გამოცდილებით მიღებულ რწმენას ქალიშვილის ნაკლებად ღირებულ და ვაჟის მეტად ღირებულ ინდივიდებად მოაზრებაზე. მონაწილეები იხსენებენ, როგორ ხდებოდა დედისთვის ვაჟიშვილის ყოლა საკუთარი დაქვემდებარებული სტატუსის ამაღლებისა და ძალაუფლებრივ იერარქიაში ადგილის დამკვიდრების საშუალება, ასევე მისი ჰაბიტუსის განმსაზღვრელი. ეს შემთხვევები ადასტურებს, რომ ქალები პატრიარქალურ სისტემაში ადგილის დამკვიდრებას მისივე ლოგიკიდან ამოზრდილი პრაქტიკების გამოყენებით ცდილობენ. ამგვარ მოცემულობებში, ბიჭი შვილი ხდებოდა გარანტია, მოეპოვებინა დედას ავტორიტეტული მდგომარეობა, რაც შემდგომ პრაქტიკებში ვაჟების პრივილეგიების მუდმივ შენარჩუნებაში ვლინდებოდა. ამგვარი გზით დამკვიდრებული ადგილი, მხოლოდ ინდივიდუალური გამოსავალია და ხელუხლებელს ტოვებს თავად უსამართლო გადანაწილების პატრიარქალურ საფუძველებს, რითაც შეუძლებელს ხდის, ამ მხრივ, ქალების საყოველთაო ემანსიპაციას, ვინაიდან ყოველთვის იქნებიან ქალები, რომლებიც ამ ლოგიკას (ვაჟიშვილის ყოლის) არ დააკმაყოფილებენ. პრივილეგიების შენარჩუნება კი, თავის მხრივ ქონების არათანასწორ გადანაწილებასაც მოიაზრებს. თავისთავად, დედის ეს ძალაუფლება განპირობებულია მისი ჩაგვრის გამოცდილებით, როცა ის ხდებოდა სოციალური წნეხისა და ჩაგვრის ობიექტი, თუ ის ოჯახს ვერ გაუჩენდა მემკვიდრეს. ამ შემთხვევაში, დედაც და შვილი გოგოც ერთდროულად იაზრებდნენ დაქვემდებარებულ პოზიციებს და იმასაც, რომ ქალის ჰაბიტუსს, მის სიმბოლურ და

სოციალურ კაპიტალს კაცი განსაზღვრავს. ხშირად, ისეთი მძაფრი არის ბიჭი შვილის ფლობით მიღწეული ძალაუფლების შეგრძნება, რომ გააზრებულად თუ გაუაზრებლად დედა ხელს უწყობს ქალიშვილის დაქვემდებარებული პოზიციის შენარჩუნებას, რაც ოჯახური ცხოვრების განმავლობაში გოგოების ჩაგვრის პრაქტიკებში ვლინდება. ეს ძალაუფლება მეტ სიმტკიცეს იძენს ქალის ქვრივობაში, როცა ის მამის სიმბოლური ძალაუფლების განმახორციელებელი ხდება.

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ასეთ ამბავს იხსენებს: „მე ვიყავი 5 წლის, მამა აფხაზეთში ტყვედ რომ ჩავარდა. მამაჩემის ნათესავებმა, მოთხოვეს თბილისის სახლი ნათესავეებისთვის დაეთმო და გურიამი წასულიყო, რადგან ბიჭი შვილი მაინც არ ყავდა და ამხელა სახლი არ ჭირდებოდა. მერე მამაჩემი დაბრუნდა და დედამ ბიჭი გააჩინა... მოგვიანებით დედაჩემი ძალიან ამაყობდა თავის მეგობრებთან, რადგან ბიჭი შვილი გააჩინა და იმ სახლს ვერავინ წაართმევდა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ გავიაზრე, რომ ჩემი ძმა იყო რაღაცის გარანტია დედასთვის და მე არა“. აღნიშნული რესპონდენტი ასევე იხსენებდა, რომ სწორედ დედა იყო წინააღმდეგი, მის სახელზე ქონების (სახლი, მიწა, აგარაკი) გადაფორმებისა, იმ მოტივით, რომ გოგოს არაფერი ეკუთვნოდა. ხოლო, 25 წლის რესპონდენტი თბილისიდან ასეთ ულტიმატუმს გვიზიარებს: „დედაჩემისგან მახსოვს... 2 და ვართ და ბაბუაჩემი ამბობდა სულ, თუ ბიჭი არ ეყოლებოდა მამაჩემს, სახლს გადაწვავდა... დედაჩემი ამ ამბავს წყენით იხსენებდა... ბიჭი რომ გაუჩნდათ და ბაბუამ სახლის ჩუქება თოთო ბავშვზე გადაწყვიტა, რაც ასევე სანყენი იყო დედ-მამისთვის, ჩვენზე წინ ბავშვი როგორ დააყენაო“.

საგულისხმოა, ასევე ჩემი რესპონდენტი მშობლების დამოკიდებულება, ქონების გადანაწილების არგუმენტებთან დაკავშირებით. დედები საუბრისას ეკონომიკურ არგუმენტებზე აკეთებენ აქცენტს, რომ ქონება უნდა გადანაწილდეს საჭიროებისამებრ, ანუ იმის მიხედვით, რომელ შვილს რა ჭირდება. თუმცა, „ზონდირებული“<sup>1</sup> შეკითხვების დასმის შედეგად, დედები თავადვე ახდენდნენ გოგო და ბიჭი შვილის დიფერენცირებას და მემკვიდრეობის გადანაწილებაში უპირატესობას ვაჟებს ანიჭებდნენ.

პატრიარქალური ძალაუფლების აპროპრიაცია ზოგადად, გამჭოლია ოჯახში ასიმეტრიული ძალაუფლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში. კვლევაში მონაწილეობდა რესპონდენტი ქალი, რომელსაც ქონებრივი დავა საკუთარ დასთან ჰქონდა. ის თავს მოიაზრებდა დაჩაგრულად, მას შემდეგ, რაც ოჯახში შემოვიდა კაცი, ანუ სიძე და რადგან მშობლების ნარატივში ინტეგრირებული იყო ბიჭის არყოლით გამოწვეული განცდები, სწორედ სიძე და სიძესთან პირდაპირ დაკავშირებული ინდივიდები (და, დის შვილები) გახდნენ ძალაუფლების აქტორები და სუბორდინირებულ წევრად მოიაზრებოდა ის, რომელსაც არ ჰქონდა სიმბოლური კაპიტალი (პატრიარქალური ძალაუფლება) ოჯახში, ანუ ჩემი რესპონდენტი.

„საერთოდ არ მომიაზრებენ ოჯახის წევრად, იმ სახლში სადაც ვცხოვრობდი.... ადრე აზრს მეკითხებოდნენ, უფროსი და ვიყავი, მაგრამ ჩემი სიძე რომ შემოვიდა (ოჯახში) თავი ჩათვალა სახლის ბატონად და მშობლებმაც მისცეს ამის საშუალება. იმის მაგივრად, რომ გავიზარდე, უფრო მეტად უნდა მეგრძნო ძალაუფლება, ჩამომაქვეითეს და ზედმეტად მთვლიდნენ სახლში. მე უნდა გავჩუმებულიყავი და ჩემი სიძე და და მისაზღვრავდნენ ყველაფერს“, – იხსენებს ის.

<sup>1</sup> ზონდირებული შეკითხვები – შეკითხვების ტექნიკა ჩალრმავებული ინტერვიუების დროს, როდესაც გარკვეული სენსიტიური და დეტალური ნარატივების მოპოვება ხდება განსხვავებულად ფორმულირებული შეკითხვების მეშვეობით. (ავტ.)

ასევე, აღნიშნული რესპონდენტი საუბრობდა იმაზეც, რომ ოჯახში არა თუ მისი აზრის გათვალისწინება არ ხდებოდა, არამედ მას უზღუდავდნენ წვდომას ოჯახის საერთო მატერიალურ რესურსებზე, როგორებიცაა საკვებისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მოხმარება.

ოჯახში ქონების გადანაწილების შესახებ დომინანტური დისკურსები რეგულარული ძალაუფლებრივი ურთიერთობებისა და რიტუალების ფონზე ვითარდებოდა, რომელიც ოჯახში თანაცხოვრების დროს სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ძალაუფლებრივი ურთიერთობები ხშირად დისციპლინირების გარკვეულ წესებში, ექსპლუატაციასა და ინდივიდების მარგინალიზაციაში ვლინდება.

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად, ოჯახებში ყველაზე გავრცელებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების ფორმები გამოიკვეთა, როგორებიცაა დისციპლინირების, ექსპლუატაციის და მარგინალიზების პრაქტიკები. ეს პრაქტიკები, ერთის მხრივ, წარმოქმნის შვილებში ოპოზიციურ განსხვავებულობას და ხელს უწყობს მათ ღირებულ და არაღირებულ ინდივიდებად მონიშვნას, მეორეს მხრივ კი, ნორმალიზებას უკეთებს გოგოების შინ შრომასა და ზრუნვას ძმების სასარგებლოდ. ეს დამოკიდებულებები გავლენას ახდენს გოგო შვილების ქცევაზე მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით და მათ მოცემულობასთან შემგუებლობაზეც. მიგნებებზე დაყრდნობით, ქვევით განვიხილავ ამ ფორმების ყველაზე გავრცელებულ გამოხატულებებს.

საგულისხმოა, რომ მონაწილეები დისციპლინირების მეთოდების სახელდებას თავად არ ახდენენ, მაგრამ ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს, ზონდირებული შეკითხვების გამოყენების შედეგად, გამოვლინდა, რომ ოჯახებში გოგოებისა და ბიჭების აღზრდის განსხვავებული მიდგომები გამოიყენებოდა, რომლებიც ვლინდებოდა ერთგვარ მორჩილების წესებში, სავალდებულო, სეგრეგირებულ დავალებებსა და კონტროლის მექანიზმებში, რაც ნორმალიზებას უკეთებდა გოგოების მორჩილებას და პრივილეგირებულ პოზიციაში აყენებდა ბიჭებს.

დისციპლინირების მეთოდებად მონაწილეები ასახელებენ შეზღუდვების დაწესებას სახლში დაბრუნებასა და თავისუფალი დროს გამოყენებაზე, ასევე კონტროლს მათ სექსუალობაზე, რომელიც გამოიხატება გარკვეული ტიპის ტანსაცმლის ჩაცმის შეზღუდვებში. ინტერვიუს დროს მონაწილეები ასევე იხსენებდნენ გარკვეულ ენობრივ კატეგორიებს, რომელიც დომინირებდა მშობლების, კერძოდ დედის ლექსიკაში ამ დისციპლინირების სერიების განსამტკიცებლად. ასეთი კატეგორიები იყო: „ეს შენი სახლი ხომ არ გგონია“, „შენი სახლი რომ გექნება, იქ როცა გინდა მიხვალ“, „ქმართან რაც გინდა ის ჩაიცვი“. მსგავსი ფრაზები ქალებისთვის იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ მშობლების სახლში დროებითი მაცხოვრებლები იყვნენ და ის მათ საკუთრებას არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თანაცხოვრების პერიოდში იყო წინააღმდეგობრივი პრაქტიკები, როცა გოგოები უარს ამბობდნენ სახლის წესების შესრულებაზე, მოსალოდნელი დასჯის შიშით, მათ მაინც უწევდათ დამორჩილება. კვლევისას გამოვლინდა დასჯის ტენდენციები, რომელიც ვლინდებოდა მშობლების მხრიდან, რაც მდგომარეობდა „ურთიერთობის გაცივებაში“, ვერბალური კომუნიკაციის შეწყვეტასა და უგულუბელყოფაში. იშვიათ შემთხვევაში, მონაწილეები დასჯის მეთოდებად იხსენებენ, კუთვნილი ნივთების ჩამორთმევას, მატერიალური რესურსების შეზღუდვასა და სახლში არ შეშვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გოგოების მეხსიერებაში წესების დაუმორჩილებლობა იწვევდა განცდას, რომ ისინი აღარ იყვნენ სასურველი შვილები, არ მოიზრებდნენ თავს ღირებულ ინდივიდებად და ოჯახში უწევდათ მინიჭებული გენდერული როლის



შესრულება (პერფორმატიულობა) და ორმაგი ძალისხმევის განცევა, სასურველობისა და „საყვარელი შვილის“ სტატუსკვოს შესანარჩუნებლად.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტებს რამდენჯერმე გაახსენდათ, რომ მათ ხშირად უწევდათ კარგი და მორჩილი შვილის როლის თამაში, რომ სასურველ შვილებად წარმოეჩინათ თავი. კვლევის თეორიული ჩარჩო ასევე ეფუძნება ირვინ გოფმანის შთაბეჭდილების მოხდენის პერფორმატიულობას (Goffman 1956). პერფორმატიულობა გულისხმობს დრამატურგიულ დისციპლინას, რაც მოიაზრებს ისეთი როლის შესრულებას, სადაც დათრგუნულია ინდივიდის პირადი ემოციები და პრობლემები, და ის გარკვეული ქცევის კონტროლს ექვემდებარება და ამ ქცევის მოლოდინი აქვს მისგან აუდიტორიასაც. ასეთი შესრულების დროს, ინდივიდი არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის პერფორმატიულობას ახდენს, არამედ იმ დიდი ჯგუფისაც, რომელშიც ისაა მონიშნული. ამიტომ, პერფორმატიულობისას მას ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება – საუკეთესო შესრულებით გადაარჩინოს არა მხოლოდ საკუთარი რეპუტაცია, არამედ სხვების, რადგან თუ ხელი მოეცარა, აუდიტორიის კრიტიკას ვერ ასცდება. რესპონდენტი ბათუმიდან იხსენებს: „იმედებს რომ გავაცრუებდი დედის და ისეთ სიმაღლეზე ვერ ვიდგებოდი მის თვალში, ამის შიში მქონდა. თავისუფალი ვიყავი, დავდიოდი ყველგან, არ მიკრძალავდა, მაგრამ სახლის საქმეში ოდნავ რაღაც რომ მომეკლო, შექებას აღარ მეტყოდნენ და ეს უკვე სასჯელი იყო ჩემთვის“.

საგულისხმოა, რომ დისციპლინირებულ პერფორმატიულობას ჩემი რესპონდენტები არა მხოლოდ სასურველი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით მიმართავდნენ, არამედ დასჯისა და სავარაუდო კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდების მიზნით. საბოლოო ჯამში, პერფორმატიულობა არ იყო ერთჯერადი ქცევა, არამედ დროში განგრძობითი პროცესი, რომელიც აყალიბებდა ნორმებს და ამ ნორმების მიმართ მორჩილებას.

მშობლების ოჯახში თანაცხოვრების პერიოდში გამოვლინდა ძალაუფლებრივი ურთიერთობის კიდევ სხვა ფორმები, რაც ქალების ჩაგვრას, მათ განსხვავებულებად მონიშვნას და დაქვემდებარებას უწყობდა ხელს. ჩაგვრის ერთ-ერთი ფორმა ექსპლუატაციის მახასიათებლებს მოიცავს, რაც ოჯახის კონტექსტში გულისხმობს სამუშაო ძალის გენდერულ გადანაწილებასა და დომინანტური ჯგუფების სასარგებლოდ განეულ შრომას. კვლევის მონაწილეები, ოჯახში შესრულებულ შრომას, მათი სქესით განპირობებულ ერთ-ერთ ვალდებულებად ასახელებენ და თვლიან, რომ ასეთი ტიპის დამოკიდებულება მათ დაქვემდებარებული პოზიციის შენარჩუნებასა და ძმის პრივილეგიების წარმოჩენას უწყობდა ხელს. შინ შრომა და ზრუნვა ხდებოდა ქალებისთვის ვალდებულება და ხშირად, ამ ზრუნვით იყო განპირობებული მშობლების მემკვიდრეობაზე უარის თქმა ძმის სასარგებლოდ. „ძმას ხომ არ წავართმევ სახლს“, „მე მიყვარს ჩემი ძმა“, „ხალხი იტყოდა, რომ ძმაზე არ ფიქრობსო“, ეს ის ფრაზებია, რომლებსაც კვლევის დროს ქალები ხშირად ამბობდნენ, როცა მემკვიდრეობის რეალურ ან ჰიპოთეტურ მოთხოვნაზე საუბრობდნენ. თუმცა, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შესრულებული შრომა, როგორცაა სახლის დალაგება, სადილის მომზადება, ძმებზე ზრუნვა, ვალდებულებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მათივე სურვილითა და მზრუნველობის გაცემის მოთხოვნილებით, თუმცა იგივე მონაწილეები, საუბრის დროს გამოიყენებდნენ ისეთ ლექსიკას, რაც მიმანიშნებდა, რომ შინ შრომა გოგოებისთვის მაინც თავსმოხვეული ვალდებულება იყო, რაც მათი თავისუფალი დროის საკუთარი მიზნების, განვითარებისა და კაპიტალის დაგროვების ხელისშემშლელი ფაქტორი იყო: „ჩამწყვიტეს შრომაში“ (ავტ. რეტროსპექტული სინა-

ნული), „სახლის ყარაულად დამსვენ და 2 წლით გამიცდა კოლეჯი“ (ავტ. უსამართლობის განცდა), „სახლში ვიყავი და აბა უსაქმოდ ხომ არ ვიჯდებოდი?“ (ავტ. თავის გამართლება).

კვლევამ ოჯახების სტრუქტურაში ძალაუფლებრივი ურთიერთობის კიდევ ერთი ფორმა – მარგინალიზება გამოავლინა. ეს ფორმა ოჯახში მატერიალური რესურსების მიზანმიმართული შეზღუდვით ვლინდება და დიფერენცირებული იდენტობების წარმოქმნას უწყობს ხელს. იანგის განმარტებით, მარგინალიზაცია სარგებლის მომტანი აქტივობებიდან ადამიანის გარიყვას და მათ პერმანენტულ ეკონომიკურ და სოციალურ დაქვემდებარებულ მდგომარეობას გულისხმობს და რომელიც გამოორიცხავს ინდივიდის ღირსების დაცვით მისი დამოუკიდებელი არჩევანის პატივისცემას. მატერიალური რესურსების შეზღუდვა არ იყო მხოლოდ დასჯის პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი. გამოვლინდა გოგობის სისტემატური მარგინალიზების ტენდენცია, რაც აისახებოდა იმაში, რომ მშობლებთან ცხოვრების პერიოდში, საყოფაცხოვრებო რესურსები, როგორებიცაა ახალი ტანსაცმელი, პირადი ნივთები და საკვებიც კი, არათანასწორად ნაწილდებოდა გოგო და ბიჭ შვილებს შორის. მარგინალიზების ეს ფორმა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის ქმნის ქალების მშობლების მემკვიდრეობიდან გათიშვის საფუძველს და რესურსების არათანაბარ გადანაწილებას ნორმად აქცევს.

ოჯახის სტრუქტურებში სოციალური ოპოზიციების წარმოქმნასა და ძალაუფლების ასიმეტრიას, ასევე ხელს უწყობს გარკვეული საოჯახო რიტუალები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც, ბურდიეს თქმით (Bourdieu 1991), სიმბოლურ მნიშვნელობებს ანიჭებს აქტორებს და მონიშნავს ინდივიდებს მათი პრივილეგიურობის მიხედვით. ასეთი რიტუალური პრაქტიკები ჯადოსნური ეფექტით ქმნიან და ამტკიცებენ წარმოსახვებს განსხვავებულ იდენტობებზე, როგორც ესენციალისტურ ნორმებზე, რაც ამ იდენტობის მატარებლების ბედისწერად განისაზღვრება ცხოვრების შემდგომ პერიოდებში. კვლევის მონაწილეები იხსენებენ რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების სხვადასხვა პრაქტიკებს, რომელთაგანაც ზოგი საერთო იყო უმეტესი მონაწილეებისთვის, ზოგიერთი კი ოჯახის კულტურისა და რელიგიურობის თავისებურებებიდან გამომდინარე იცვლებოდა. ძმების პრივილეგიურულ ინდივიდად მონიშვნა ბევრი მონაწილის ოჯახის კულტურაში, მაგალითად, ახალი წლის მეკვლეობის რიტუალ პრაქტიკაში ვლინდებოდა, როცა ბიჭი უპირობოდ იყო ოჯახის მეკვლე; ასევე, ტენდენციური იყო წეს-ჩვეულებები, როცა ქალები არ სადილობდნენ, ვიდრე მამა სამსახურიდან არ დაბრუნდებოდა. იშვიათად, მაგრამ მონაწილეები იხსენებენ ისეთ ჩვეულებებს, როგორიცაა სახლში ყველაზე დიდი ოთახის ვაჟისთვის დათმობის პრაქტიკა, ასევე სახლში მნიშვნელოვანი ადგილების ვაჟებისთვის მონიშვნის ჩვეულება. კვლევამ გამოავლინა, რომ ასეთი ტიპის რიტუალური პრაქტიკები თანამედროვე ოჯახებში არსებობს და ბიჭების პრივილეგიურულ პოზიციებს ოჯახის იერარქიაში ვერბალურად თუ არავერბალურად აძლიერებს.

კვლევის დროს ჩემი დაკვირვების საგანი იყო ოჯახში სუბორდინირებული წევრების თვითაღქმები და რეპრეზენტაცია, მათ მიმართ და მათ მიერ გამოყენებულ ენობრივ კატეგორიებზე დაკვირვებით, რომელიც წარმოქმნის ქალის ჰაბიტუსს, რაც ბურდიეს განმარტებით წარმოადგენს მათი იდენტობისთვის მონიშნული ნორმებისა და აღქმების ერთობლიობას და, ეკონომიკური კაპიტალის ხელმისაწვდომობის ხარისხთან ერთად, განსაზღვრავს მის სიმბოლურ კაპიტალს არა მხოლოდ ოჯახის სტრუქტურებში, არამედ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებსა და იერარქიულ სისტემებში. ოჯახში ძალაუფლებრივი ურთიერთობის დისკურსები და ამ ურთიერთობის გამოხა-

ტულეები, ფორმები, რომელზეც ზევით ვისაუბრე, აყალიბებს ქალების ცნობიერებაში თვითაღქმებს, რომლებიც მათი ქცევის, შეწინააღმდეგებისა და ქონების მოთხოვნასთან დაკავშირებულ პრაქტიკებშიც აისახება.

კვლევაში მონაწილე ქალების უმეტესობა საკუთარ თავს არ მოიაზრებდა იმ სახლის სრულუფლებიან წევრად და მესაკუთრედ, სადაც ისინი იზრდებოდნენ. მეტიც, ისინი არასრულფასოვან ინდივიდებადაც კი აღიქვამენ თავს ძმებთან მიმართებაში.

ხშირად, ქალები სახლის, ოჯახის წევრებისა და ოჯახში შესრულებული საქმის მიმართ გაუცხოებას გრძნობენ, რაც დისციპლინირების პროცესის ერთ-ერთი შედეგია. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ისინი თავს სახლში დროებით სტუმრებად მოიაზრებდნენ, სადაც მათი უფლებები მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

სწორედ ამ უფლებობის გადააზრება აჩენს ქალებში უსამართლობის განცდას, რომელსაც, როგორც შემდეგ თავში ვნახავთ, მოჰყვება ან შეგუება, ან წინააღმდეგობის განევა.

მიგნებებში გამოვყოფ იმ ენობრივ კატეგორიებს, ლექსიკას, რომელსაც კვლევის მონაწილეების მიმართ ოჯახში გამოიყენებდნენ და მათ თვითაღქმებზე ახდენდა გავლენას. მონაწილეები ხშირად იმეორებენ სიტყვას „სირცხვილია“, რომელსაც მშობლებისთვის სამკვიდრო წილის მოთხოვნის კონტექსტში ხმარობენ. „მშობლებს რომ რამე მოვთხოვო, ალბათ ხალხი იტყვის, რა უსირცხვილო ვარ“, – ქალი, 37 წლის, სურამი. თავად ეს სიტყვა ქალებს ბავშვობის ასაკში ესმოდათ მშობლებისგან, რაც გარკვეულ წილად, ოჯახის სინდისის შენარჩუნების პასუხისმგებლობასაც აკისრებდა. ამ პასუხისმგებლობის შესრულება ქალებს მოეთხოვებოდათ გაჩუმებისა და მორჩილების ფორმით. კვლევის მონაწილეები იხსენებენ, რომ მათ მიმართ ხშირად გამოიყენებოდა ისეთი ფრაზებიც, როგორებიცაა „ხმა ჩაიგდე“, „შენ გაჩუმდი“, „შენ არავინ არაფერს გეკითხება“, „ნუ იქნები უსირცხვილო“, „ენატლიკინა“. ერთ-ერთი მონაწილე ასევე იხსენებს, როგორ ხდებოდა მისი მარგინალიზება, ოჯახში ქალის „უჭკუოდ“ სახელდებით და ამ ნარატივს ოჯახის ახლობელი სასულიერო პირები აძლიერებდნენ.

ქალები ასევე საუბრობენ, რომ მათგან მუდმივად იყო მოლოდინი, რომ ისინი „გათხოვდებოდნენ და წავიდოდნენ“, რაც არაერთხელ გამხდარა ქალებზე ზენოლის საბაბი. ქალების მემკვიდრეობიდან გამოთიშვის ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ ისინი გათხოვების შემდეგ, ქმრის ქონების განმკარგავები იქნებოდნენ. თუმცა, ოჯახში გამოყენებული სიტყვების კვალობაზე „შენ არაფრის კეთება არ იცი“, „ვის ოჯახშიც შეხვალ, შეგვარცხვენ“, „იქიდან გამოგაგდებენ“, ქალები ვერც დაოჯახების შემთხვევაში გრძნობდნენ, რომ ქმრის კერძო საკუთრება მათი ეკონომიკური კაპიტალის და უსაფრთხოების გარანტია იქნებოდა.

ოჯახის ძალაუფლებრივი ურთიერთობებიდან თავის დასაღწევად, ქალებისთვის დაოჯახება ხდებოდა გამოსავალი. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ქალისთვის ეს იყო არა ინდივიდუალურ სურვილზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, არამედ წესრიგიდან გაქცევის ალტერნატიული შესაძლებლობა. ასევე, ქალებისთვის დაოჯახება ითვლება სიმბოლური სტატუსის ამაღლების საფუძვლად. დაოჯახებული ქალიშვილები მშობლების ოჯახის ძალაუფლებრივ სტრუქტურებში

თანასწორ აქტორებად მოიაზრებოდნენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც რთავენ, აზრს ეკითხებიან და გარკვეულ უფლება-მოვალეობასაც უზრდიდნენ.

თუმცა, ქალის ჰაბიტუსის ჩამოყალიბებაზე გავლენას არა მხოლოდ დაქორწინება, არამედ ამ ქორწინების ეკონომიკური სიმტკიცე უწყობდა ხელს. თუ სიძეს აქვს ეკონომიკურად სტაბილური მდგომარეობა და კერძო საკუთრება, უფრო მაღალია პატივისცემის ხარისხი და პირიქით. კვლევის მონაწილე ქალები, რომლებიც ეკონომიკური სტაბილურობის ამ მოლოდინს ვერ აკმაყოფილებდნენ, მუდმივად იყვნენ არა თანაგრძნობის, არამედ დადანაშაულების სამიზნეები. „გათხოვილიყავი უკეთესად და იქნებოდი კარგად“, „შენი ბრალია ასე რომ ხარ, გაყოლოდი მდიდარ ქმარს“ – ამ ფრაზებს სხვადასხვა ოჯახებში ტენდენციური გამოვლინება აქვთ და ქალებიც საკუთარ თავს, ხშირად, „ნივთებად“ მოიაზრებენ. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ თუ მათ დაოჯახებისას არ აქვთ კერძო საკუთრება, ისინი მშობლებისა და ძმებისგან მოიაზრებიან „საფრთხედ“ და მათ მიმართ ნდობის ხარისხიც იკლებს, რაც ურთიერთობის გაცივებაში, მათ გარიყვასა და ხშირად, კონტაქტის განწყვეტაშიც აისახება.

ჩემი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მემკვიდრეობის სქემიდან ქალების გათიშვის შედეგებზე დაკვირვება, ასევე ოჯახის შიგნით ძალაუფლებრივი ურთიერთობების დროს გამოვლენილი წინააღმდეგობრივი პრაქტიკების შესწავლა, რომელიც ხელს უწყობს ქალების მიერ სამკვიდრო წილის მოთხოვნას.

საგულისხმოა, რომ კვლევის მონაწილე რესპონდენტებისთვის კერძო საკუთრება მყისიერი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა. ისინი ამბობენ, რომ მათი ეკონომიკური და ემოციური მდგომარეობა ბევრად უფრო მდგრადი იქნებოდა, კერძო საკუთრება რომ ჰქონოდათ. მაგალითად, აღარ იქნებოდნენ ქმარზე ფინანსურად დამოკიდებულები და საკუთარი შემოსავალი ექნებოდათ, თუნდაც ბინის ფინანსური აქტივის ქცევის გზით. თუმცა, ძალაუფლებრივი ურთიერთობების ფორმები და დომინანტური დისკურსები, ქალების შემგუებლობისა და მემკვიდრეობაზე უარის თქმის საფუძველი ხდება. კვლევაში მონაწილე ქალები, ქონებაზე უარის თქმას ოჯახებთან კავშირის განყვეტის, ურთიერთობების გაცივების, სანათესავო კავშირიდან იზოლირებისა და გარიყვის შიშით ხსნიან. ამგვარი შიშები, რომლებიც შესაძლოა არ იყოს რეალური, ანუ არ მოხდეს მათი აღსრულება, ქალებს ბავშვობაში დისციპლინირების რეგულაციების დროს უყალიბდებოდათ და მათი გავლენა ამ ქალებისთვის ხელშესახებია. რესპონდენტი ქალები უკიდურესი საჭიროების დროსაც კი, არა თუ სამკვიდრო წილს, არამედ მშობლების სახლში თავშეფარსაც კი ვერ ითხოვდნენ. ერთი რესპონდენტი ჰყვება, რომ ის წლების განმავლობაში იყო ქმრის მხრიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ეს ინფორმაცია ჰქონდა მის ოჯახს, მაგრამ სამართლებრივად ვერაფერი მოთხოვა, ვერ გაუბედა (რესპონდენტის სიტყვები) და მხოლოდ შვილების სრულწლოვნების შემდეგ ქირით გადავიდა და გაეცალა ქმარს.

ქალებისთვის კერძო საკუთრება საჭიროების არარსებობის დროსაც კი ემოციური უსაფრთხოების გარანტიაა. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მის ქმარს აქვს კერძო საკუთრება, „რამე რომ მოხდეს“ ღია ცის ქვეშ რჩება. მონაწილეებში გამოვლინდა ტენდენცია, რომ მათ უწევთ ორმაგი შრომა, რამდენიმე სამსახურში ერთად მუშაობა, რომ თავად შეიძინონ უძრავი ქონება, რაც მათ დამოუკიდებლობისთვის სჭირდებათ.



„ქმართან მძევალი დავრჩი. იყო ცხოვრებაში მომენტები, როცა მინდოდა მარტო წასვლა. უნდა ჰქონდეს ქალს წასასვლელი. ახლაც ისე მჭირდება კერძო საკუთრება, რომ ყველაფერს გავაკეთებ, ჩემი რომ მქონდეს“, იხსენებს კვლევის მონაწილე.

აქვე უნდა ვახსენო, რომ თანამედროვე რეალობაში, ქალების დაოჯახების შემთხვევაში მშობლებისგან მიცემული მზითვი იმდენად მინიმალურია, რომ ის მათთვის ვერ ხდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ან „მოლაპარაკების ბერკეტის“ გარანტი. მეტიც, ხშირად ეს ქალების თვითშეფასებაზეც მოქმედებს და უსამართლობის განცდასაც ამძაფრებს.

კვლევამ გამოავლინა გარკვეული სტრატეგიები და ტენდენციები, რა დროსაც, მიუხედავად რეპრესირებული უფლებებისა, ქალები ღიად აცხადებდნენ პრეტენზიას კუთვნილ ქონებაზე. ფუკოს ნინაალმდეგობრივი თეორიის მიხედვით, რაც უფრო მეტად უხდება ძალაუფლებრივ ურთიერთობას „ამბოხის ჩასახშობად“ ძალის გამოყენება, მით უფრო სუსტდება ის. ამდენად, წითელი ხაზების გადაკვეთა, ყოველი მორიგი ამბოხი, მისი აზრით, შეიძლება განხილული იყოს, როგორც გამარჯვების სტრატეგია. ჩემი კვლევის თემის მიხედვით, ამგვარი წითელი ხაზი მემკვიდრეობაზე გადის.

კვლევის მონაწილეების ნაწილი იხსენებს, რომ საკუთრების მოთხოვნით ღია დაპირისპირებაში შესულან მშობლებთან ან ძმასთან, ასევე გამოუყენებიათ გარკვეული მშვიდობიანი სტრატეგიები, რაც მათთვის სამკვიდრო წილის მიცემის საფუძველი გამხდარა. კვლევამ გამოავლინა, რომ ამ სტრატეგიების საფუძველი იყო მშობლებისთვის გაღებული ფინანსური კონტრიბუცია, სამართლებრივ მექანიზმებზე აქცენტები და ავტორიტეტული ნათესავების ჩართულობა. ამ სტრატეგიების გამოყენება ყოველთვის არ სრულდება წარმატებით, მაგრამ ის ტოვებს მოლაპარაკების შესაძლებლობებს, ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე სისტემატური შეტევის გზით.

კვლევის დროს გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია, რომ თუ ქალიშვილი მშობელს სამკვიდრო წილს სამართლებრივი მექანიზმებით ედავება, მშობელიც ასევე სამართლებრივ კონტრ-სტრატეგიებს ახვედრებს და მიმართავს ისეთ პრევენციულ ზომებს, როგორიცაა დაურეგისტრირებელი ქონების საკუთარ თავზე გადაფორმება, რაც მშობლის სიცოცხლეში მემკვიდრეობის მოთხოვნის შესაძლებლობას გამორიცხავს. იშვიათად, მაგრამ მონაწილეები ასევე იხსენებენ, რომ ამგვარი დაპირისპირების დროს, დედას კონტრ-სტრატეგიად გამოუყენებია ის, რომ ვაჟის სასარგებლოდ დაწერს ანდერძს და ამგვარად ხელს შეუშლის ქალიშვილს მემკვიდრეობის სამართლებრივ დავაში და გზას მოუჭრის. თუმცა, კვლევის მონაწილეებს შორის ღია დაპირისპირების შედეგად მიღებული მემკვიდრეობის შემთხვევები არ სახელდება. ისინი ამბობენ, რომ მათ „გამარჯვების“ ალტერნატიული სტრატეგიები აქვთ, როგორიცაა ძალისმიერი მეთოდით მშობლების ოჯახში დაბრუნება, ან მშობლებზე უარის თქმა.

რამდენიმე მონაწილემ თქვა, რომ ასეთი სტრატეგიების გამოყენების საფუძველი გამოუვალ მიდგომარეობა იყო, განსაკუთრებით მარტოხელა დედების შემთხვევაში. „ბავშვთან ერთად მივედი სახლში, გადმოვიღე ლეიბი და დავწექი. სხვა გზა არ მქონდა და იმ აგრესიის გასაძლეადაც მზად ვიყავი, რაც მელოდა“, ჰყვება კვლევის მონაწილე.

საგულისხმოა, რომ კვლევის მონაწილეები, ვინც ვერ, ან არ მოითხოვა სამკვიდრო წილი, რეტროსპექტულად, თავს მოიაზრებენ უსამართლოდ დაჩაგრულებად. თუმცა, საქმის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, უკვე ვეღარ სთხოვენ დაოჯახებულ ძმასა და მოხუც მშობლებს წილს. რამდენიმე მონაწილემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ინდივიდუალური სამართლიანობის აღდგენის მოტივით, ისინი უარს აცხადებენ მშობლების მოვლა-მზრუნველობაზე, რასაც ერთგვარ „გამარჯვების სტრატეგიად“ მოიაზრებენ

„ძან ცუდი რამეა, რასაც ეხლა მე ვამბობ, მაგრამ აღარაფრის დაკარგვის შიში მე არ მაქვს. ამიტომ საერთოდ აღარ ვკითხულობ დედაჩემის ამბავს, როგორც გინდა ისე იყავი და ნუ მომთხოვ მე მოვლას. ჩემ ოჯახთან გამარჯვებულ მდგომარეობაში არ ვარ.... მე იმდენი გადავიტანე, ახლა რომც მაჩუქოთ არაფერი არ მინდა, ის რაც მაშინ უნდა მოგეცათ და თქვენც დამანებეთ თავი“ , იხსენებს რესპონდენტი.

ამრიგად, ქალებისთვის გამარჯვების სტრატეგიად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი მათზე დაკისრებულ შინშრომასა და მზრუნველობაზე უარს აცხადებენ და ამგვარი მეთოდით სამაგიეროს უხდიან ოჯახის წევრებს, ვინც მათ სამკვიდრო წილი არ მისცა.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ მემკვიდრეობის არათანაბრად გადანაწილების დისკურსს ნაკლებად აწყდებიან ახალი თაობის, 14-18 წლის ასაკის რესპონდენტები. ეს ერთი მხრივ განპირობებულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ზრდით, მეორეს მხრივ ოჯახებში ტრადიციული გენდერული როლების ცვლილებით, რაც მოიაზრებს გარკვეულ წილად შინ შრომის საქმის ნაწილობრივ გადანაწილებას ქალებსა და კაცებს შორის.

ბიბლიოგრაფია:

- Bourdieu, P. (1991), Language and Symbolic Power, Cambridge, MA: Harvard University Press
- Foucault, M. (1968). Politics and the study of Discourse. In Burchell, G., Gordon, C., and Miller, P (Eds.)
- Foucault, M. (1978) The History of Sexuality (vol. 1). New York: Pantheon Books.
- Foucault, M. (2020), The Subject and Power. Source: The University of Chicago Press.
- Goffman, E. (1956) The Presentation of Self in Everyday Life , Ch. 6 & 7,. Edinburgh: University of Edinburgh.
- International Organization for Migration, (2016) Barriers to Women,s Land and property access and ownership in Nepal, pp. 8-10
- Power, E. (1999), An Introduction to Pierre Bourdieu’s Key Theoretical Concepts, Journal for the Study of Food and Society, Queen,s University
- UN Women, (2018) Prevalence and patterns of violence against women by male intimate partners, Chapter 4, pp. 46-48, National Study on Violence against women in Georgia
- Young, M., (2011), Five faces of Oppression, pp.48-53, Justice and the Politics of Difference, Princeton University Press
- გაეროს განვითარების პროგრამა, (2018) ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში, საქართველო;
- გაეროს განვითარების პროგრამა, (2019), ქალები, კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულებები
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისთვის, (2018) დასაქმება და გენდერი საქართველოში – საკითხის მოკლე აღწერა
- საქსტატი (2020), სამუშაო ძალა, ხელფასები, ქალი და კაცი საქართველოში
- საქსტატი, (2018), მფლობელობის გავრცელების მაჩვენებლები, პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე, საქართველო
- საქსტატი, (2020), ბიზნეს სექტორი, ქალი და კაცი საქართველოში
- ნულაძე, ლ. (2020), სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თსუ გამომცემლობა
- White, N., (2002), Not Under My Roof, Source: Youth and Society, Sage publication